თბილისის “დინამო” გავიდა მეოთხედ ფინალში

(მოსკოვი. დეპეშით ჩვენი სპეციალური კორესპონდენტი)

21 აგვისტოს, მოსკოვის “დინამოს” სტადიონზე ჩატარდა “სსრკ თასის” გათამაშების მორიგი კალენდარული შეჯიბრება ფეხბურთში. თამაშობდნენ: **თბილისის “დინამოს” და ლენინგრადის “სტალინეცის”** ოსტატ ფეხბურთელთა გუნდები.

მატჩი დაიწყო მოდუნებულად. დიდი სიცხე ორივე გუნდს ხელს უშლიდა ტემპიანი თამაშის განვითარებაში. მე-20 წუთიდან საკმაოდ გაცხოველდა თამაში. მე-25 წუთზე პაიჭაძისაგან თავური გარტყმით მიღებული ბურთი კარგად გამოიყენა ბერეჟნოიმ და კარიდან 13 მეტრით დაშორებულმა კვლავ დაუბრუნა პაიჭაძეს. ამ უკანასკნელმა კი ბურთის შეუჩერებელი ზუსტი გარტყმით გაარღვია მოწინააღმდეგის კარი – 1:0 თბილისელთა სასარგებლოდ.

თამაში დინამოელთა უპირატესობით განვითარდა. მე-39 წუთზე ჯეჯელავამ ისარგებლა მოწინააღმდეგის კართან შექმნილი არევდარევით და გაადიდა ანგარიში.

მე-40 წუთიდან ლენინგრადელები აძოლიერებენ ტემპს და მთელ რიგ სერიოზულ მომენტებს ჰქმნიან თბილისის “დინამოს” საჯარიმო მოედანზე. მე-41 წუთზე შავგულიძემ გადაარჩინა თავისი გუნდის კარი უდაო ბურთისაგან. მე-43 წუთზე “სტალინეცის” მარჯვენა გარემარბი ხსნის ანგარიშს.

პირველი ტაიმი დამთავრდა – 2:1 “დინამოს” სასარგებლოდ.

თამაშის მეორე ნახევარი თბილისელთა უპირატესობით დაიწყო. მე-2 წუთზე ოსტატური “დრიბლინგებით” პაიჭაძე გავიდა გარღვევაზე და სნაიპერული გარტყმით გაადიდა ანგარიში – 3:1. 2 წუთის შემდეგ კიკნაძისაგან მიღებულ ბურთს ჯეჯელავა თავური გარტყმით ათავსებს “სტალინეცის” კარში – 4:1. მე-10 წუთზე დოროხოვმა მოიგერია ძლიერად დარტყმული კუთხური ბურთი, მაგრამ მას მიუსწრო “სტალინეცის” თავდასხმის შუამარბმა და თბილისელთა კარის ბადეს მოხვდა მე-2 ბურთი.

ტაიმის ბოლო წუთებში მრავალ კრიტიკულ მომენტებს ჰქონდა ადგილი. მაგრამ ორივე გუნდმა დაკარგა მრავალი შესაძლებლობა. მატჩი დამთავრდა თბილისის დინამოს გამარჯვებით – ანგარიშით 4:2.

ამრიგად, თბილისის “დინამო” გავიდა “სსრკ თასის” გათამაშების მეოთხედ ფინალში. მორიგ მატჩს თბილისელები ჩაატარებენ სტალინის “სტახანოვეცთან”. მატჩის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული.

“მუშა”, 22 აგვისტო, 1938 წ.